



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოპალა

კოპალა, ერთ-ერთი ღვთისშვილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებში. ხალხური ეტიმოლოგიით მისი სახელი კომბლიდან მომდინარეობს.

კ-ს ძირითადი სამლოცველო იყო ფშავსა (სოფ. უძილაურთა) და ხევსურეთში (ლიქოკის ხეობა, ჭალაისოფელი). კ-ს სამლოცველოები იყო. აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ქართლ-კახეთის ჩრდ. ბოლში; ხალხ. წარმოდგენით - კ. კაცი (ხორციელი) იყო, რ-იც საგმირო საქმეების გამო, „გახატებულა“ და ღვთისშვილად ქცეულა, რისთვისაც მას იახსართან ერთად, მორიგე ღმერთმა ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე ოდესღაც მობინადრე დევ-კერპების განადგურება დააკისრა. მასვე მიაწერენ ავსულებთან ბრძოლის ფუნქციას, საკუთარი საყმოსა და სხვა ხორციელთა დაცვას ბოროტი ძალებისაგან. იმავე წარმოდგენით, კ., როგორც სათემო ღვთაება, თავის ყმებს მფარველობდა გასაჭირში, თან ახლდა ლაშქრობებში და ხელს უმართავდა. ამ ფუნქციათა დამთხვევის გამო კ. და იახსარი მოძმე ღვთისშვილებად მიაჩნდათ. კ-ს ჰქონდა მამულები, სათიბები, ზვრები კახეთში, კურატების ჯოგი, სხვადასხვა დანიშნულების საბ.-საკულტო ნაგებობანი, სამეურნეო ინვენტარი, ფლობდა განძს და ა. შ. ხალხის რწმენით, დღემდეა შემორჩენილი კ-ს მიერ ბრძოლის დროს გამოყენებული ქვები, რ-ებსაც დევები ადგილიდან ვერ ძრავდნენ. დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კ. წმ. გიორგის ერთ-ერთი ხალხ. ზედწოდებაა. ხევისბერები სადიდებელში კ-ს ასე მოიხსენიებენ: „ძალო ღვთისაო, ძალო წმინდა გიორგი კოპალესაო“. სოფ. ნაფარეულთან დგას კ-ს წმ. გიორგის ეკლესია.

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 - ფშავი, თბ., 1974; კ ი კ ნ ა ძ ე ზ.,

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, თბ., 2013; თ ი ა უ რ ი თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1 - ხევსურული, თბ., 1931; Б а р д а в е л и დ з ე В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён, Тб., 1957.

თ. თნიაური
